



ლიბერატორული  
ოცნება

ნიკოლო ახანიტი

# მე და შენ

იტალიურიდან თარგმნა თეა ნიკოზაძემ



სულაკაურის  
მათემატიკა

# 1.

2000 წლის 18 თებერვალს ადრიანად დავნეჭი და მაშინვე ჩამეძინა, მაგრამ შუალამისას გამეღვიძა და ველარაფრით დავიძინე.

შვიდის ათი წუთი გახდა. ბუმბულის საბანი ნიკაპამდე მეფარა და პირით ვსუნთქავდი.

სახლში სიჩუმე იდგა. მხოლოდ ის ისმოდა, წვიმის წვეთები ფანჯრის მინას როგორ ეხეთქებოდა, ზედა სართულზე საძინებელსა და სააბაზანოს შორის დედაჩემი როგორ მიმოდიოდა და ჰაერი სასულეში როგორ მოძრაობდა.

მალე დედაჩემი მომაკითხავს, რომ გამაღვიძოს და სხვებთან შესახვედრად წამიყვანოს.

ტუმბაზე მდგარი ქრიჭინის ფორმის სანათი ავანთე. მწვანე შუქმა ოთახის ის ნაწილი გაანათა, რომელშიც ტანსაცმლით გატენილი ზურგჩანთა, ქურთუკი, ფეხსაცმლიანი ჩანთა და თხილამურები ეწყო.

ცამეტიდან თოთხმეტ წლამდე ტანი უცებ ისე ავიყარე, თითქოს სასუქი დამაყარესო, და თანატოლებზე მაღალი აღმოვჩნდი. დედაჩემი ამბობდა, რომ ისე უცბად გავიზარდე, გეგონებოდა საფორნე ცხენებმა გამწელეს. სარკესთან დიდ

დროს ვატარებდი, დაჭორფლილ ფერმკრთალ კანს და ფეხზე ამოსულ ბალანს ვათვალისწინებდი. თავზე ნაბლისფერი თმის მთელი ბუჩქი მეზრდებოდა, იქიდან ყურები გამოშვერილიყო. სქესობრივი მომნიშვნის პერიოდში სახის მოხაზულობა შემეცვალა. მწვანე ფერის თვალებს ერთმანეთისგან კარგა მოზრდილი ცხვირი ყოფდა.

ავდექი და ხელი კართან ახლოს მიყუდებული ზურგჩანთის ჯიბეში ჩავყავი.

– დანაც დევს და ფარანიც. ყველაფერია, – ვთქვი ხმადაბლა.

დერეფანში დედაჩემის ნაბიჯების ხმა გაისმა. ალბათ მაღალქუსლიანი ლურჯი ფეხსაცმელი აცვია.

თავი სანოლში ვდურთე, შუქი გამოვრთე და თავი მოვიმძინარე.

– ლორენცო, გაიღვიძე. გვიანია.

ბალიშიდან თავი წამოვწიე და თვალეები მოვიფშვნიტე.

დედაჩემმა ჟალუზი ასწია.

– რა საზიზღარი დღეა. იმედია, კორტინაში უკეთესი ამინდი იქნება.

დილის პირქუშ ბინდბუნდში დედაჩემის სილუეტი გამოიკვეთა. ქვედაბოლოსა და რუხ ჟაკეტში გამონყობილიყო, რომელსაც მაშინ იცვამდა, როდესაც მნიშვნელოვან საქმეებზე მიდიოდა. მაღალყელიანი სვიტრი და მაღალქუსლიანი ლურჯი ფეხსაცმელი ეცვა, ყელზე მარგალიტის მძივი აესხა.

– დილა მშვიდობისა, – ისე დავამთქნარე, თითქოს ეს-ესაა გამეღვიძა.

დედაჩემი სანოლის კიდეზე ჩამოჯდა:

– კარგად გეძინა, საყვარელო?

– კი.

– ნავალ, საუზმეს მოგიმზადებ... შენ კი ამასობაში, დაიბანე.

– ნიჰალი სადაა?

თითებით თმა გადამივარცხნა:

– ამ დროს სძინავს. გაუთოებული მაისურები მოგცა?  
თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

– ადექი.

ადგომა მინდოდა, მაგრამ თითქოს გულმკერდზე რაღაც სიმძიმე მანვა და მახრჩობდა.

– რა იყო?

ხელი ჩავჭიდე:

– გიყვარვარ?

გამიღიმა:

– რა თქმა უნდა, მიყვარხარ.

ფეხზე ადგა, კართან ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა და ქვედაბოლო გაისწორა.

– მიდი, ადექი. გინდა, სანოლიდან ადგომაზე დღესაც მახვეწნინო?

– მაკოცე.

დაიხარა:

– სათხილამუროდ მიდიხარ, არდადეგებზე, ჯარში კი არა! მოვეხვიე და თავი დედას სახეზე ჩამოყრილ ქერა თმაში ჩაემალე, ცხვირით კი ყელზე მივებჯინე.

სასიამოვნო სურნელი ასდიოდა. თვალნინ მაროკო წარმომიდგა, ვინრო შუკა-შესახვევები, დახლები და ზედ დახვავებული ფერად-ფერადი სანელებლები. თუმცა, მაროკოში არასდროს ვყოფილვარ.

– რის სუნია?

– სანდალოზის საპნის, როგორც ყოველთვის.

– ამ საპონს მომცემ?

ცალი წარბი ასწია:

– რისთვის?

– დავიბან ხოლმე და შენი სუნი ამივა.

საბანი გადამაძრო:

– ეს რას ნიშნავს? რას ჰქვია, დაიბან? ნუ სულელობ, იქ ჩემზე ფიქრისთვის არ გეცლება.

BMW-ს ფანჯრიდან სველი საარჩევნო პლაკატებით დაფარულ ზოოპარკის ღობეს გავყურებდი. მტაცებელი ფრინველების ვოლიერში, გამხმარ ტოტზე სვაფი იჯდა. ძაძებში ჩაცმულ დედაბერს ჰგავდა, რომელსაც წვიმაში ჩასძინებია.

მანქანაში ჩართული გათბობა სულს მიხუთავდა, ორცხობილა ყელში მეჩხირებოდა.

წვიმამ იკლო. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სველი ფოთლებით მოფენილ კიბეზე ვილაც წყვილი ვარჯიშობდა, კაცი მსუქანი იყო, ქალი – გამხდარი.

დედაჩემს გავხედე.

– რა? – ისე მკითხა, გზისთვის თვალი არ მოუშორებია.

მკერდი გამოვბერე და ვცადე, მამაჩემის ბოხი ხმისთვის მიემსგავსებინა:

– არიანა, კარგი იქნება, მანქანა გაგერეცხა. ბორბლებზე შემდგარ სალორეს ჰგავს.

არ გაულიმია:

– მამაშენს დაემშვიდობე?

– კი.

– რაო, რა გითხრა?

– მითხრა, რომ სისულელები არ ვაკეთო და გადარეულივით არ ვისრიალო, – შევყოვნდი და მერე დავამატე: – ჰო, და კიდევ მითხრა, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ არ გირეკო ხოლმე.

– ასე თქვა?

– ჰო.

სიჩქარე შეცვალა და ვია ფლამინიაზე შეუხვია. ქალაქი ნელ-ნელა მანქანებით ივსებოდა.

– დამირეკე, როცა მოგინდება. ხომ არაფერი დაგრჩა? მუსიკა ჩაინერე? მობილური წამოიღე?

– კი.

მოქუფრული ცა სახურავებსა და ანტენებზე ჩამონოლილიყო.

– წამლები? თერმომეტრი ჩაიდე?

– კი.

მოპედზე მჯდარ ბიჭს ჩაფხუტქვეშ მობილური შეეცურებინა, ტელეფონზე ლაპარაკობდა და თან იცინოდა.

– ფული?

– კი.

ტიბრზე ხიდი გადაკვეთეთ.

– დანარჩენი გუშინ ერთად შევამოწმეთ. ყველაფერი თან გაქვს.

– ჰო, ყველაფერი მაქვს.

შუქნიშანთან გავჩერდით. ჩინკვეჩენტოში მჯდარი ქალი წინ იყურებოდა. მოხუცებული კაცი ორ ლაბრადორს ტროტუარზე უკან ლასლასით მოჰყვებოდა. ტოტებშემოძარცულ და ცელოფნის პარკებაკრულ ხეზე, რომელიც ტალახისფერი წყლიდან ამონვერილიყო, თოლია იჯდა.

იმნუთას ღმერთი რომ გამომცხადებოდა და ეკითხა, მინდოდა თუ არა, ეს თოლია მე ვყოფილიყავი, დავთანხმდებოდი.

ღვედი შევიხსენი:

– აქ დამტოვე.

ისე შემომხედა, თითქოს ვერ გაიგო:

– როგორ თუ აქ?

– ჰო, აქ.

შუქნიშანი მწვანედ აინთო.

– ძალიან გთხოვ, გააჩერე.

არ გააჩერა. ჩემდა საბედნიეროდ, წინ სანაგვე მანქანა მიზო-  
ზინებდა და გვაყოვნებდა.

– დედა! გააჩერე!

– ღვედი შეიკარი.

– ძალიან გთხოვ, გააჩერე.

– კი მაგრამ, რატომ?

– მინდა, იქ მარტო მივიდე.

– არ მესმის...

ხმას ავუწიე:

– ძალიან გთხოვ, გააჩერე.

დედაჩემმა მანქანა გააჩერა, ძრავა გამორთო და თმაზე  
ხელი გადაისვა:

– რა ხდება? ლორენცო, ძალიან გთხოვ, ახლა ნუ დავინწყებთ,  
რა... ხომ იცი, რომ ამ დროს ვერ ვაზროვნებ ხოლმე.

– არაფერი, უბრალოდ, სხვები მარტო მოვლენ, – მუშტები  
შევკარი, – შენთან ერთად ვერ დავენახვები. გავბანძდები.

– გამაგებინე... – თვალები მოიფშვნიტა, – აქ დაგტოვო?

– ჰო.

– ალესიას მშობლებს მადლობაც არ გადაუვუხადო?

მხრები ავიჩიჩე:

– საჭირო არ არის. მადლობას მე ვეტყვი.

– გამორიცხულია! – და გასაღები გადაატრიალა.

მისკენ გავინიე:

– არა... არა... ძალიან გთხოვ.

ხელით მომიშორა:

– რას მთხოვ?

– მარტო გამიშვი, რა. იქ დედასთან ერთად ვერ მივალ, დამცინებენ.

– რა სისულელეა... მინდა ვიცოდე, ყველაფერი კარგადაა თუ არა, რამე ხომ არ არის საჭირო. მე მგონი, ეს სულ მცირეა, რის გაკეთებაც შემიძლია. შენსავით ხებრე ხომ არ ვარ?!

– მე ხებრე არ ვარ. ისეთი ვარ, როგორიც სხვები.

ციმციმა ჩართო:

– არა, ეს გამორიცხულია.

ვერ გავთვალე, დედაჩემისთვის ჩემი გაცილება რამდენად მნიშვნელოვანი იყო. ვიგრძენი, რომ ბრაზი მიპყრობდა. ფეხებზე მუშტები დავირტყი.

– რას აკეთებ?

– არაფერს, – კარის სახელურს ისე ჩავეჭიდე, რომ თითები გამითეთრდა. ასე მგონია, იმ წუთას შემედლო, მანქანის სარკე მომეგლიჯა და ფანჯრის მინა ნამსხვრევებად მექცია.

– ბავშვივით რატომ იქცევი?

– ეს შენ მექცევი ისე, როგორც... სირს!

მწყრალი მზერა მესროლა:

– ნუ ილანძღები. ხომ იცი, რომ ამას ვერ ვიტან. ჭირვეულობა საჭირო არ არის.

ხელსაწყოების პანელს მუშტი დავარტყი:

– დედა, ჯანდაბა! მინდა, იქ მარტო მივიდე! – ბრაზი მახრჩობდა: – კარგი, არსადაც არ წავალ. ჰოდა, შენც კმაყოფილი იქნები.

– ლორენცო, ახლა კი მართლა გავბრაზდები.

ბოლო კოზირი მოვიშველიე:

– ყველამ თქვა, რომ იქ მარტო მოვა. მე კი, როგორც ყოველთვის, დედიკოსთან ერთად გამოვცხადდები. აი, პრობლემებიც ამიტომ მაქვს...



– ახლა იმას ნუ იტყვი, რომ პრობლემებს მე გიქმნი.

– მამამ მითხრა, რომ დამოუკიდებელი უნდა ვიყო, საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვრო და შენ შეგეშვა.

დედაჩემმა თვალები მოჭუტა და თხელი ტუჩები ისე მოკუმბა, თითქოს საკუთარ თავს ხმის ამოღებას უკრძალავდა. მიტრიალდა და მიმავალ მანქანებს მიაშტერდა.

– პირველი შემთხვევაა, რომ დამპატიჟეს... რას იფიქრებენ? – ჩემსას ვაგრძელებდი.

დედამ გარშემო ისე მიმოიხედა, თითქოს ვილაცას ეძებდა, ვინც ურჩევდა, რა ექნა.

ხელი მოვუჭირე:

– დედა, დამშვიდდი...

თავი გააქნია:

– არა, ვერ დავმშვიდდები.

მხარზე გადაკიდებული ზურგჩანთით, ხელში თხილამურებითა და ფეხსაცმლით ვიდექი და ვუყურებდი, დედაჩემმა მანქანა როგორ მიატრიალა. დავემშვიდობე და დავიცადე, სანამ BMW ხიდზე არ გაუჩინარდა.

ვიალე მაძინისკენ გავემართე. რადიო-ტელევიზიის შენობას ჩავუარე. ვია კოლ დი ლანადან ასიოდე მეტრში ვიყავი, როცა ნაბიჯი შევანელე. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, პირობა ისეთ მწარე გემოს ვგრძნობდი, გეგონება, ენა სპილენძის მავთულისთვის ამესვას. ბარგი მამძიმებდა, ბუმბულის ქურთუკში გავიხვითქე და თავი საუნაში მეგონა.

გზაჯვარედინთან მივედი, ქუჩის კუთხიდან თავი გავყავი და გავიხედე.

იქ, ქუჩის ბოლოს, რომელიღაც თანამედროვე ეკლესიის წინ, „მერსედესის“ დიდი ჯიპი იდგა. დავინახე, ალესია რონკატი,

დედამისი, შუმერი და ოსკარ ტომაზი საბარგულში ბარგს როგორ ალაგებდნენ.

ვოლვო, რომლის სახურავზეც წყვილი თხილამური დაემარებინათ, ჯიპს გვერდით ამოუდგა. ვოლვოდან რიკარდო დობოში გადმოხტა და სხვებთან მიირბინა. მერე მანქანიდან დობოშის მამაც გადმოვიდა.

უკან დავიხიე. თხილამურები კედელს მივაყუდე, ქურთუკი შევიხსენი და ისევ გავიხედე.

ალესიას დედა და დობოშის მამა თხილამურებს „მერსედესის“ სახურავზე აწყობდნენ. შუმერი აქეთ-იქით დახტოდა და დობოშს ვითომ მუშტებს უქნევდა. ალესია და ტომაზი მობილურებზე ლაპარაკობდნენ.

სამზადისს დიდი დრო მოანდომეს. ალესია დედას არ ეხმარებოდა და ისიც ქალიშვილზე ბრაზობდა. შუმერი თხილამურების შესამონწმებლად მანქანის სახურავზე აძვრა.

როგორც იქნა, წავიდნენ.

ტრამვაიში ვიჯექი. ჰალსტუხ-პიჯაკიან მოხელეებს, დედებსა და სკოლაში მიმავალ ბავშვებს შორის ჩაჭყლეტილი, თხილამურებითა და ფეხსაცმლით ხელში, თავს იდიოტად ვგრძნობდი.

თვალებს რომ ვხუჭავდი, საკუთარ თავს საბაგროზე, ალესიასთან, ოსკარ ტომაზისთან, დობოშსა და შუმერთან ერთად ვხედავდი. შოკოლადის კარაქისა და გასარუჯი კრემების სუნსაც კი ვგრძნობდი. წარმომედგინა, კაბინიდან მუჯლუგუნების კვრით, სიცილ-სიცილით როგორ გადმოვიდოდით, ხმამალლა ვილაპარაკებდით და სხვებს აინუნშიც არ ჩავაგდებდით. ისე მოვიქცეოდით, როგორც ისინი იქცევიან, ჩემი მშობლები ხეურებს რომ ეძახიან. სანამ სხვები თხილამურებს მოირგებ-

დნენ, მე სახალისო რაღაცეებს მოვუყვებოდი და გავაცინებდი, ვიღაცას გამოვაჯავრებდი, ვიხუმრებდი. სახალხოდ ხუმრობა არასდროს გამომდიოდა ხოლმე. ძალიან თავდაჯერებული უნდა იყო, ასე ხუმრობა რომ შეგეძლოს.

– იუმორის გარეშე ცხოვრება სევდიანია, – ვთქვი.

– სრული ჭეშმარიტებაა, – ვიღაც სინიორა გამომეხმაურა.

იუმორზე ეს აზრი მამაჩემმა გამოთქვა, როცა ერთხელ ქალაქგარეთ სეირნობისას ჩემმა ბიძაშვილმა ვიტორიომ ძროხის ფუნა მომარტყა. გაბრაზებული, დიდ ქვას დავწვდი და ხეს ვესროლე, ის გონებაშეზღუდული ვიტორიო კი მიწაზე კოტრიანობდა და სიცილით იგუდებოდა. ჩემი მშობლებიც იცინოდნენ.

თხილამურები მხრებზე გავიდე და ტრამვაიდან ჩამოვედი.

საათს დავხედე. რვას ათი წუთი აკლდა.

სახლში დაბრუნებისთვის ძალიან ადრეა. სამსახურში მიმავალ მამას გადავეყრები უეჭველად.

ვილა ბორგეზესკენ გავემართე, ზოოპარკის ახლოს მდებარე მდელოსკენ, სადაც ძაღლებს შეუძლიათ თავისუფლად ირბინონ. სკამზე ჩამოვჯექი, ზურგჩანთიდან კოკა-კოლას ბოთლი ამოვაძვრე და ერთი ყლუპი მოვსვი.

ჯიბეში მობილურმა დარეკა.

სანამ ვუპასუხებდი, ერთი წამით შეეყოვნდი:

– დედა...

– ყველაფერი კარგადაა?

– კი.

– ნახვედით?

– კი.

– საცობებია?

წინ დალმატინელმა ჩამირბინა.

– ცოტა...